№ 250 ნოემბერი 24, კვირა 1891 ნოემბერი 24, კვირა № 250


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


თავადი ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე სთხოვს ნათესავსა და ნაცნობთა, მობრძანდნენ კვირას, 24 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, ქ. ქუთაისს, წმ. გიორგის ეკკლესიაში (გორაზედ), სადაც გარდახდილი იქმნება მოსახსენებელი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **კნეინა ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისა.**

## „ივერია"

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, რადგან 1 ნოემბრამდე საპრემიოდ ერთის მოთხრობის მეტი არ იქმნა წარმოდგენილი, ამისითვის გამგეობა ხელმეორედ აცხადებს ორს პრემიას საუკეთესო ისტორიულის მოთხრობისათვის. პირობები წინანდელია: პირველი პრემია 200 მან. და მეორე 100 მან. პირველს პრემიაზე მოთხრობა უნდა იქმნას დაწერილი არა ნაკლებ 10 ბეჭდურის თაბახისა და მეორე არა ნაკლებ 5 თაბახისა. პრემიით დაჯილდოვებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეგზ., რომლის გაყიდვის შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნენ 1 ნოემბრამდე 1892 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილის კონვერტით. ადრესი: Правленію грузинскаго издательскаго товарищества въ Тифлисѣ

(5—4)

## წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარია და წიგნის მაღაზია

გადავიდა ახალს სადგომში, იმავე ქარვასლის №№ 125 და 126-ში, თეატრის შესავალთან მარჯვნივ, ბუფეტთან. (4—2)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ კამისია რკინის გზისა, რომელიც ამასწინად კახეთში წავიდა, ეხლა დაბრუნებულა, და ამბობენ, მთავრობისაგან წარმოხზავნილი იმედს იძლევაო, რომ გზა უსათუოდ გაიტანება ტფილისიდამ თელავამდე ჩალაუბნის ხევზე და გაზაფხულზევე შეუდგებიან გზის ლიანდაგის გამორკვევას. ამ მთავრობისაგან წარმოგზავნილს უთქვამს თურმე, რომ მთელი კავკასია მომივლია და კახეთის რკინის გზა ყველაზე უსაჭიროესია და ყველაზე უწინარეს გასაყვანიო.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს სეკრეტარს თ. არღუთინსკი-დოლგორუკის გაუგზავნია პეტერბურგს გაზეთ-წიგნების ბეჭდვის მთავარ-სამმართველოში ქაღალდი და უთხოვნია ნება-რთვა საყოველკვირაო საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის რედაქტორ-გამომცემლობისა. ახალი რუსული გაზეთი „Недѣля"-ს სახისა და ტანისა იქნება, სახელად ერქმევა „Идея" და აზრად ექმნება აცნობოს მკითხველს არა წვრილ-წვრილი, შეუმუშავებელი ამბები ცხოვრებისა და პოლიტიკისა, როგორც ყოველ-დღიური გაზეთები სჩადიან, არამედ შემუშავებული და წესსა და რიგზე დაწყობილი, რიგიანად ანუსხულ-გაშუქებული წერილები შესახებ საპოლიტიკო და საზოგადო ცხოვრებისა.

*** ქართულს დრამატიულს საზოგადოებას წარუდგინა საპრემიოდ პიესა მხოლოდ ორმა. პიესების განსახილველად ორის კვირის წინად დანიშნული იყო მმართველობის კრება, რომელიც ვერ შესდგა ზოგიერთ წევრთ დაუსწრებლობის გამო. მეორე კრება მმართველობისა დანიშნულია სამშაბათისათვის, 26 ნოემბერს.

*** მეტად უხერხულია ის გარემოება, რომ რიყის ცხენის რკინის გზით მოსიარულე ხშირად იძულებულია, ნახევარს საათს და ხან მეტს ხანსაც იცადოს დესიმონოვის მეიდანზე და ელოდოს ორთაჭალის ვაგონს. ბილეთს ჰყიდულობთ ვარანცოვის ძეგლთანვე ორთაჭალამდე და ამ ცდისა და ლოდინის გამო თითქმის ერთს საათს უნდებით დანიშნულს ალაგას მისვლასა. ბევრად უკეთესი იქნება, რომ ბილეთი იყიდებოდეს მხოლოდ დესიმონოვის მეიდნის სადგურამდე, ხოლო, ვისაც ჰსურდეს ორთაჭალისკენ წასვლა და გულის გამაწვრილებელი ცდა-ლოდინი ვაგონისა, იმან შემდეგ იყიდოს ბილეთი ორთაჭალამდე. ყოველს ამ უხერხულობას ისიც უნდა დაემატოს, რომ დესიმონოვის სადგურის უფროსს, ვიღაც გუბეტს, თუ გუბეკს ჰგონია, რომ ცხენის რკინის გზა საზოგადოების სასარგებლოდ და სასიამოვნოდ-კი არ არის გაჩენილი, არამედ საზოგადოებაა ცხენის რკინის გზის გამგეობისა და მის აგენტების საქეიფოდ დაბადებულიო. ვინ გეხვეწებოდათ, ნუ იყიდდით ბილეთს ორთაჭალამდე, თუ ცდა და ლოდინი არ გინდოდათო, უკმეხად და უზრდელად ეუბნებოდა ერთს ასეთის ლოდინით გულ-გადაღეულს პასაჟირს გუშინ სიღამოს ეს მეტად გათამამებული უფროსი დესიმონოვის სადგურისა. ძლიერ დიდის გულით-კი იყო და არ ვიცით-კი, რის და ვის იმედით.

*** პარასკევს, ამ თთვის 22-ს, საღამოზე ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურს „ბეჟათუბანს" ახლოს ბათუმიდგან მომავალი საქონლის მატარებელი დაიმსხვრა. მატარებლის დამსხვრევის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ გზის მე-160 ვერსზე თავქვეზე მატარებელი ნახევრად გაწყვეტილა და ბოლო ვაგონები ისე დასჯახებია წინა ვაგონებს, რომ ისინი ლიანდაგს გადმოსცდენია. ორთქლ-მავალიც გადმოვარდნილა, მიწა გაუთხრია და შიგ ჩაფლულა, რამდენიმე ვახონი ზედ დასჯახებია და დამსხვრეულა. რაღაცა სასწაულით მემაშინე, იმისი თანაშემწე და მატარებლის კონდუქტორები სიკვდილს გადარჩენილან.

*** ამ დღეებში ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა ცირკულიარი დაუგზავნა პოლიციის ბოქაულებს: ყოველს ყასაბს ხელ-წერილი ჩამოართვით, რომ ამას შემდეგ, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ აღკრძალვისა გამო, მაკე საქონელი აღარ დაჰკლან, რადგანაც მაკე ძროხის ხორცი მავნებელია და ამასთან მრავალი ხბოც ფუჭდებაო. ამას შემდეგ, თუ რომელიმე ყასაბი მაკე ძროხას დაჰკლავს, პოლიცია სამართალში მისცემსო.

*** სამშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნული მორიგი კრება ამ საზოგადოების წევრთა. კრებაზედ, მიმდინარე საქმეთა განხილვის გარდა, ბ-ნი კ. ა. გორბაჩევი წაიკითხავს თავისს მოხსენებას „ამიერ-კავკასიის ადგილობრივ აბრეშუმის ჭიის თესლის მომშენებელთა მოღვაწეობის შესახებ." ამ კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** გუშინ, ამ თთვის 23, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო სომხურ გაზ. „არძაგანქის" რედაქტორ ბ-ნ იოანნესიანისა და სომხურისავე გაზ. „ალბიურის" რედაქტორის ბ-ნ ნაზარიანცის საქმე. ეს საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ გაზეთების რედაქტორებმა თავიანთს გაზეთებში ერთმანეთს შეურაცყოფა მიაყენეს და ბ-ნმა ნაზარიანცმე ბ-ნს იოანნესიანცს რაღაცა საქველ-მოქმედო აზრით მოგროვილ ფულის შეჭმა დასდო ბრალად. რადგანაც ამ საქმეზე ზოგიერთი მოწმე არ მოვიდა სასამართლოში, საქმის გარჩევა სხვა დროსთვის გადაიდო. სასამართლოში დიდ-ძალი სომხობა იყო ამ საქმის მოსასმენად.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია, ამ თთვის 27 სხდომა აქვს გერმანელების ახალ-შენს ეკატერინენფელდში.

*** ბ-ნი ტფილისის პოლიცმეისტერი ბძანებაში უწერს ბოქაულებს, რომ ტფილისში ვიღაცა კაცი გამოჩნდა, რომელიც თავისს თავს ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის სტუდენტს ტურქისტანოვს უწოდებს და ფულს აგროვებს ვითომ ოდესაში წასასვლელად, ტურქუსტანოვი შეიპყრეთ და წარმომიდგინეთო.

*** აგერ ორი თთვეა, რაც ზოგიერთს ტფილისის აბანოში წყალი დაშრა და ლულიდგან აღარ გადმოდის. ტფილისის მკვიდრთ ეს ამბავი ძალიან უკვირთ და ამბობენ, რომ მაგისთანა ამბავი ჯერ არა თქმულა და არ გაგონილაო.

*** 28 ნოემბერს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ალექსანდრეს სოსტატო ინსტიტუტის სადგომში ბ-ნი ალ. კალანთარი წაიკითხავს ლექციას რძისა და რძის მეურნეობის შესახებ.

*** დღეს რუსულს თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია საუცხოვო პიესა ვიქტორ ჰიუგოსი „რუიბლასი". ამ პიესისათვის დიდი ხანია ემზადება ადმინისტრაცია თეატრისა და საკმაო ხარჯიცა აქვს გაწეული.

*** ს. თილვ. (გორის მაზრა) სოფელ თილვის ყდ. წმ. ღვთის მშობლის მიძინების ტაძარი, რომლის განახლებას და განშვენიერებას შეუდგა კომიტეტი, აგერ მესამე წელიწადია, თავმჯდომარეობით გენერალ-მაიორის მიხეილ ამირაჯიბისა, უკვე განამშვენიერეს და განაახლეს. მათის ყდ. უსამღვდელოესობის გორის ეპისკოპოზის ალექსანდრეს ნება-დართვით რუისის ბლაღოჩინმა-დეკანოზმა იოანე ინაშვილმა თვისის საბლაღოჩინოს ზოგიერთ მღვდლებითურთ აკურთხა ტაძარი ამ თთვის 14-ს სახსოვრად 1888 წელს, 17 ღვინობისთთვეს მათ უდიდებულესობათა სასწაულებრივ გადარჩენისა. წირვის შემდეგ იქმნა გადახდილი სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორისა და მათის უავგუსტოესის სახლეულობისათვის. ხალხი მრავალი დაესწრო. სოფელსაც დამზადებული ჰქონდა ხარჯი ყველა მომსვლელთათვის. სადილმა და საზოგადოდ კურთხევამ ლაზათიანად ჩაიარა. ამავე დღეს ზოგიერთმა მოილო შეწირულება ფულითა, რომელიც, როგორც გავიგეთ, ექვს თუმნამდის შესდგა. ამავე დღეს დაიწერა დეპეშა და გაეგზავნა მისს მაღალყოვლად უსამღვდელოესობას არქიეპისკოპოზს პალლადის და მოხსენდა ყოველივე გარემოება საქმისა.

*** გაზ. „მშაკის" სიტყვით, ამას წინად გარდაცვლილს ტფილისის მოქალაქეს გრიგოლ სურგუნოვს 2500 მან. უანდერძებია ტფილისში დასაარსებლად განზრახულ საყმაწვილო საავადმყოფოსათვის და 3,000 მან. სოფ. გლდანში სომხების ეკკლესიის ასაგებლად.

*** დღეს გაზ. „ნოვ. ობოზ."-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: „მივაქცევთ ბ-ნთ ქველ-მოქმედთა ყურადღებას გაჭივრებულს მდგომარეობას ქ-ნ ნათაძისას, რომლის ქმარიც, ბათუმის სასწავლებლის მასწავლებელი, მოსე ნათაძე, ისე შესაბრალისად გამოეთხოვა სიცოცხლეს. განსვენებულის სამს ობოლს შორის უფროსი მიღებულია ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში, ხოლო დანარჩენნი ორნი-კი ავადმყოფსა დ ყოველსავე საცხოვრებელს მოკლებულს დედას შესცქერიან ხელში. განსვენებულის ქალიც, რომელიც გიმნაზიაში სწავლობდა, ამ დღეებში დაითხოვეს სწავლის ფასის შეუტანლობისათვის. ქ-ნი ნათაძისა სცხოვრობს საპიორების ქუჩაზედ, ტერ-სტეფანოვის სახლში".

## გაკვრით

(ორიოდე შენიშვნა)

წელს ზაფხულს ვიგდე ხელთ რკინის გზაზედ მოსამსახურეთათვის ასე ძვირად საშოვარი თავისუფლება და მიმოვლე რამდენიმე მხარე ჩვენის ქვეყნისა. გახლდით რაჭაში, ლეჩხუმში, ქვემო და ზემო იმერთში. ყველგან საერთოდ შემჩნეულმა ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება და უამისოდაც სასო-მიხდილი ჩვენის თავად-აზნაურობის სამერმისო ბედის გამო მთლად უნუგეშოდ გავხ[illegible]ი

მოგეხსენებათ, საცა არის დუქნები, სულ დიდის გზის ნაპირებზედ არის გამართული, სოფლებს ახლო. ამისთანა დუქნებში, როცა გინდა, უფრო საქმის დღეს და, საცა გინდა, მგზავრს შეხვდება ახალგაზდა, სუფთად ჩაცმულ-დახურულს, იარაღში ჩამჯდარ გუნდს ყმაწვილებისას, რომელნიც ამ შუა კვირაში ან უსხედან სათამაშო ქაღალდს, ან ღვინოს და ირთობენ თავს მასლაათით, თუ ვინ რამდენი დალია, ვინ როგორის სიმარჯვით მოუქნია ხმალი, გინდა ხანჯალი და დასჭრა თავისი მოძმე. ჰკითხავ მედუქნეს, ვინ არიან ესენიო, და უეჭველად დაგისახელებთ ერთ-ერთს ადგილობრივ მცხოვრებ აზნაურის ან თავადის გვარს. ასე უნაყოფოდ ყოფნის ნაყოფის ძებნას, ნუ გეშინიანთ, დიდხანს არ მოუნდებით: გაივლით რომელსამე სოფელს შუა და თქვენს ყურადღებას იზიდავს მშვენივრად გაშენებული ეზო, ვენახი, ლამაზად დადგმული ნადგომობა. ეკითხებით მხლებელს, აქ ვინ სახლობსო. უეჭველად გლეხ-კაცის გვარს მოგახსენებთ. ჰხედავთ მოუვლელ, მოოხრებულ ეზო-გარემოს, სახლკარობას. ნუღარ კითხულობთ ვისია, წინდაწინვე იცოდეთ, რომ აქ ან აზნაური და ან თავადია. დღეს ბევრი სწუხს გლეხ-კაცობის მდგომარეობის გამო ჩვენში, მაგრამ, ღმერთმანი, ერთი-ორად მეტის ზრუნვის ღირსია თავად-აზნაურობის მდგომარეობა, რადგან თავად-აზნაურნი დღეს სწორედ უარესს ყოფაში არიან. ცხოვრება ჩვენი იმ გვარს ვითარებაში ჩავარდა, რომ, შრომის მოყვარეობაც რომ გლეხისა გვქონდეს, ბევრი სხვა გარემოება არ გვიწყობს ხელს ისე, როგორც გლეხს, მაგრამ თავი და თავი მიზეზი ისევ უშრომლობაა, რასაკვირველია. ვინც შრომობს აზნაურთა შორისაც, სულიც იმას უდგია და სარჩო-საბადებელიც ბევრი აქვს.

თავად-აზნაურობის ამ გვარ მდგომარეობაში ყოფნა ერთის მხრით ჩვენის განათლებულის ახალ თაობის ბრალიც გახლავთ, ჩემის ფიქრით. ყოველს ასპარეზზედ საკმაოდ გამოიზარდნენ ჩვენი მამულის შვილები და იმ ასპარეზზედ-კი თითქმის სრულიად არა, რომელზედაც ჩვენის დღევანდელის მდგომარეობისათვის უფრო საჭირონი და სასარგებლონი იყვნენ. მე მოგახსენებთ მეურნეობის შესახებ. ვინც გამოიზარდა მეურნედ თითო ოროლა, ისინიც ჰღალატობენ თავისს დანიშნულებას, მცირედ საქმის დაწყებას თაკილობენ: კრედიტი გვინდა, მაშინები, იარაღებიო. ამაებს ვერ ჰშოვობენ და მათი ცოდნა ან ხმარდება უცხო საქმეს და ან სულ უნაყოფოდა რჩება. ის-კი ავიწყდებათ, რომ მაშინ არის მეტად სასარგებლო და სამაგალითო ქვეყნისათვის სამეურნეო საქმე, როცა თითქმის არა რაით დაწყებულა და შემდეგ გაზრდილა. მაგალითი უკეთესი სკოლაა და თუ დამიჯერებთ, განათლების ნაყოფს რომ კაცს ხორც შესხმულ საქმეთ დაანახვებთ, ეს უფრო სასარგებლოა, ვიდრე სკოლაში ამისივე გამუდმებული ჩიჩინი. უფრო სასარგებლოა იმიტომ, რომ მაგალითის მიხედვით სწავლობენ დიდებიც, რომელნიც მიღებულ ცოდნას მაშინვე ხმარობენ და იყენებენ ცხოვრებაში, მაშინ როდესაც სკოლაში მიბარებულ ბავშვიდგან, ვინ იცის როდის რა იქნება და რა გამოდნება. სასიხარულოდ ჩვენდა, ამ ბოლოს დროს ჩნდება ჩვენს ქვეყანაში თითო ოროლა ამისთანა ჩვენთვის სამაგალითო ფერმები. უფრო სასიამოვნო ის არის, რომ როცა ვხედავთ ამისთანა ფერმას, იქ მათ მოტანილ ნაყოფსაც უკვე ვამჩნევთ. ქვემო იმერეთში, სოფელს ჯიხაიშს ამისთანა ფერმა გაუშენებია ბ-ნ ნიკოლაძეს და მეორე უფრო პატარა ფერმა ს. ლანირს—თ. დგებუაძეს. ორივე სწორედ სასიამოვნო სანახავია და სასარგებლო ყოველის ჩვენებურის მეურნისათვის. გარდა იმისა, რომ ეს ფერმები ავრცელებს სოფლებში უკეთესს ხეხილის ნამყენებს და თესლეულობას, მათ შემუშავების და მოვლის წესებს, თვით ფერმის პატრონების მაგალითს ბევრი მეზობელი თავადი და აზნაური მუშაობას მიუჩვევია. ერთი ახალგაზდა გაკვირვებით მეუბნებოდა: კაცო, რა ვნახე გუშინას წინ; ჩემის თვალით ვნახე, ნიკოლაძე და მისი ცოლი დათითხნილი ბაღში მუშაობდნენ, თავის ხელით ხეხილს რგავდნენ, ბოსტანს მარგლიდნენ; არ გიკვირს, რაველი განათლებული კაცი და რავა კადრულობს მუშაობასაო. საცა მივედი ამ სოფლებში, თითო ოროლა რამ ყველას გადმოუღია მოხსენებულ ფერმებიდან. ხშირად სჯიან, ბაასობენ სამეურნეო საგნების შესახებ და ამის მიზეზს სულ იგივე ფერმები აძლევს ყველას. იმისთანა ყმაწვილებს დაუწყიათ თავის ხელით მუშაობა ახლა, რომ ფრჩხილების წმენდის, ჰამის და ძილის მეტი არა გაუკეთებიათ-რა თავის სიცოცხლეში. ორ სამ სოფელში რომ თითო ამისთანა ფერმა გაჩნდებოდეს, მეურნეობის ბედი გამობრუნდება ჩვენს ქვეყანაში.

ერთი ამისთანავე ფერმა ბ-ნ გუნცაძესა აქვს ს. კვალითში. ღვინის წარმოების საქმეში ამასაც ნაყოფი მოაქვს ზემო იმერეთში. სამწუხაროდ მე ის არ მინახავს.

ილ. ჭიჭინაძე

სად. ძირულა

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რამდენადაც ილახებოდა თვით ბუნება თვით-მმართველობისა და რა თვით-ნებადაც იქცეოდა გამგეობა, ამას აშკარად ამტკიცებს სამსახურიდგან განთავისუფლების თხოვნა ქალაქის მდივნად ნამყოფის ქანანოვისა, გამგეობაში შეტანილი 1883 წლის 31 დეკემბერს. მოგვყავს ეს თხოვნა აქვე:

„ტფილისის ქალაქის საბჭოს უკანასკნელს, 28 დეკემბრის კრებაზედ, როცა განხილულ იქმნა ისეთი შესანიშნავი საგანი, როგორიც არის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1884 წლისა, საქმეთ წარმოება სრულიად არ ეშესაბამებოდა იმ წესსა და რიგს, რომელიც უეჭველად უნდა იყოს დაცული, თუ საბჭოს ამ საქმეთა სამართლიანად გარჩევა უნდა... 28 დეკემბრის კრებაზედ, ექვსის ხმოსნის თანადასწრებით, განხილულს ხარჯთ-აღრიცხვას ისე სწრაფად კითხულობდნენ და ერთის საგნიდგან მეორეზედ ისე საჩქაროდ გადადიოდნენ, რომ როგორც სჩანდა, ხმოსნები ვერ ასწრობდნენ გონება მიედევნებინათ წაკითხულისათვის, და როცა იტყოდნენ ხოლმე რასმე წაკითხულის შესახებ, წამკითხველი (ბ-ნი იზმაილოვი) უკვე სხვა საგანზედ გადადიოდა. ამასთან, თუმცა ხმოსნებმა არა ერთხელ განაცხადეს, რომ ხარჯთ-აღრიცხვა მუხლ-მუხლობით განეხილოთო, ყურს არავინ უგდებდა და იმათი თხოვნა არავინ შეიწყნარა, ნება არავინ დართო. შემდეგ, კამათის დროს, რომელიც სრულიად უწესრიგოდ სწარმოებდა... ზრდილობიანობაც-კი არ იყო დაცული; ამ გვარად საბჭო თითქმის ერთს საათსაც არ მოუნდომებია ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებას. მარტო იმითი აიხსნება ეს გარემოება, რომ რაც შეიძლებოდა ჩქარა უნდოდათ თავიდგან მოეშორებინათ ხარჯთ-აღრიცხვა და ერთს კრებაზედვე დაებოლოვებინათ იმისი განხილვა, თუმცა სხდომის უწყებაში ნათქვამი იყო, რომ სამს სხდომაზედ იქნება განხილულიო; ამის გამო დაარღვიეს კანონი საქალაქო დებულების 52 მუხ. და 53 მუხ. მე-2 პუნქ., რომლითაც ქალაქის მოურავს სრულიად აკრძალული აქვს სხდომის თავმჯდომარეობა, თუ სხდომამ ქალაქის გამგეობის მოხელეთა ჯამაგირის დანიშვნის საგანი უნდა განიხილოს. ეგეც არ არის, ეს იყო მიზეზი, რომ ერთმა ხმოსანმა შენიშნა: „უნდა გვესმოდეს, რამდენად შეეფერება რაოდენობა ჯამაგირისა თვით საქალაქო გამგეობაში მყოფ მოხელეთა მოღვაწეობასაო“. ეს სიტყვები მთქმელს ქალაქის მოურავმა შუაზედ გააწყვეტინა, რომ „ეხლა დრო არ არის მაგის თქმისაო“ და რომ „მაგ საგნის შესახებ თქმა რისამე საჭიროდ არ მიმაჩნიაო“.

ასეთს გარემოებაში სამსახური ვერ შესძლო და ქალაქის მდივანი ქანანოვი სთხოვდა თავისს არზაში საბჭოს, რომ განმათავისუფლეთ ამ მოვალეობისაგანაო. ამ ნიმუშიდგანაც აშკარადა სჩანს, რა წესები ჰმეფობდა ამ საზოგადო დაწესებულებაში.

ძველმა გამგეობამ წესად შემოიღო, განაგრძობს ბ-ნი ვეტერანი: ხარჯთ-აღრიცხვის ჩარაკრაკებით კითხვა — თითქმის ნახევარ მილიონზედ მეტის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვას 45—50 წუთში კითხულობდნენ კიდეც, განიხილავდნენ კიდეც და ამტკიცებდნენ კიდეც. განა ასეთი უწესოება შელახვა და შებღალვა არ არის თვით-მმართველობის თვით ბუნებისა და დედა-აზრისა? ვაი იმას, ვინც გაჰბედავდა და ხმას აიმაღლებდა ამ უკანონო წესებისა და ასეთის სისტემის უვარგისობის წინააღმდეგ. ქალაქის მკვიდრთ უეჭველია ჯერაც დავიწყებული არ ექნებათ, რა სასტიკად სდევნიდა ბ-ნი იზმაილოვი განსვენებულს ალადათოვს, საქალაქო საქმეთა უკეთესს მცოდნეს. ის გარემოებაც, რომ ალადათოვი რუსულად კარგად ვერა ჰლაპარაკობდა, სასაცილოდ არა ჰყოფნიდა ბ-ნს იზ-

---

# ფელეტონი

## საშინელი საბუთი

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 249)

მარხვას ბოლო ელებოდა და ჩვენი სანატრელი ჯვარის-წერის დრო ახლოვდებოდა. მე გაფაციცებით კაბებს ვიკერავდი და სამზითვოს ვიმზადებდი. საშას უცოლო ამხანაგები მუდამ დღე ვახშმად პატიჟობდნენ და ახალ ცხოვრების გზას ულოცავდნენ. ერთს ამ გვარს ვახშმის დროს, რომელღაც ამხანაგს ჩემზე უზრდელად ეხუმრა, საშას იმისათვის ყბაში შემოეკრა. იმან, პატივის აღსადგენად, ხმალში გამოიწვია თურმე და საშას მძიმედ დაეჭრა მკლავში. ეს, რასაკვირველია, უფროსებმა შეიტყეს და საშას სასჯელის მოსახდელად, სადღაც შორს, თურქესტანის ქალაქში გაუძახეს.

გამოთხოვების დროს, რაღა თქმა უნდა, ბევრი ცრემლი დავღვარეთ. საშა მარწმუნებდა, რომ როგორც ჩავალ და მოვეწყობი, დეპეშას დაგიკრავ, შენც ჩამოხვალ და ჯვარს დავიწერთო. მოგეხსენებათ, „იმედიანი სიმშილიც კარგიაო!“ მეც, ცხოვრებაში გამოუცდელმა, საშას სიტყვები ხალას ოქროდ მივიღე და დავრჩი მოსკოვში მომავალ ბედნიერების ტკბილის იმედით. გავიდა კარგა ხანი და საშასაგან ცნობა არ მიმიღია. ბოლოს, როგორც იქნა, შევიტყე იმისი ადრესი და წერილი გავუგზავნე, მაგრამ პასუხი არ მომივიდა. გავუგზავნე მეორეც, მესამეც, მეოთხეც... სულ ამაოდ. პასუხს, არ იქნა და არა, ვერ ველირსე! ბოლოს ნამდვილ წყაროდამ შევიტყე, რომ საშას ვიღაც დიდ მზითვიანი სომხის ქალი შეერთო. რა მექნა?! შური მეძია? ჰმ, ქალისაგან შურის ძიება!!. ამას მხოლოდ რომანებში თუ ამოიკითხავთ; თორემ ნამდვილს ცხოვრებაში-კი ქალების დიდი მწუხარების, ან სიხარულის ერთად-ერთი იარაღი ცრემლია. მეც ბევრი ვიტირე.

ფეხ-მძიმობა დღითი დღე მეტყობოდა და ამხანაგები გესლიანად დამცინოდნენ; საზოგადოებამაც ჩემზე თანდათან გული აიყარა. ბოლოს დირექტორმა დამიბარა და მითხრა, რომ ჩემს დასში სახელ გატეხილს ქალებს ვერ დავიჭერ და დღეიდან თქვენ ჩვენთან ადგილი აღარა გაქვსთ, მაგრამ მე თქვენ მებრალებით და, თუ სხვა რამ ცხოვრების საღსარი ვეღარ იშოვოთ, ეს ბარათი ამა-და-ამ კაცს მიუტანეთ, ჩემი ძველი მეგობარია, კავკასიაში მომღერალ ქალების გუნდი ჰყავს და უთუოდ მიგიღებსო.

ძეობას კინაღამ გადავყევი, მთელს შვიდს თვეს ვლესე ლოგინი და, თუ რამ ნივთები გამაჩნდა, ან ფული, სულ მოლოგინებაზე დამეხარჯა. დავრჩი უპატრონოდ, უმეგობროდ... დედ-მამამ, ოპერეტში მომღერლად რომ შევედი, ხომ მაშინვე გამომიტირა და ჩემს შვილობაზე ხელი აიღო! ჩემს სახელს დღესაც ვერ გაუხსენებს იმათ კაცი. დავიწყე გუვერნანტის ადგილის ძებნა, მაგრამ, ვისაც ვსთხოვე, ყველამ უარი მითხრა. მთელი საზოგადოება უნამუსო ქალად მრაცხდა და შვილები გასარყვნელად აბა ვის ემეტება?! მოსკოვში აღარ მედგომებოდა. სადმე ისეთს ადგილას უნდა წავსულიყავ, სადაც არ მიცნობდნენ და სამგზავროდ უკანასკნელი ჭინჭებიც გავყიდე. ჩავედი ადესაში და დავიწყე ქუჩა-ქუჩა ხეტიალი. ორ-სამს დღეს პირში ნაწილი არ ჩამიშვია. ასე მშიერ-მწყურვალი რომ დავეხეტებოდი, ერთი ახალგაზდა პოლიციის მოხელე შემხვდა და, უცხოდ რომ დამსახა, ბილეთი მომთხოვა. მე ყოველივე ჩემი გარემოება ვუამბე და ვსთხოვე, შეწყალება რამ აღმოეჩინა.

— ვმადლობ ღმერთს, რომ კიდევ დროზე შეგხვდი! დიდის მონაწილეობით მითხრა მან: ჯერ თქვენ გემრიელი ვახშამი და მოსვენება გეჭირვებათ, ადგილის შესახებ-კი მერე ვიფიქროთ.

ამ სიტყვებით სასტუმროში წამიყვანა და ერთი საკმაოდ სუფთა ოთახი დამიქირავა. სანამ მე ბავშვს დავაწვენდი და დავლაგდებოდი, ის ვახშმის თადარიგს შეუდგა. გულიდგან თითქო მძიმე ლოდი მომწყდა, თავისუფლად ამოვისუნთქე. დიდი ხანია, ასეთს წმინდა ოთახში ღამე არ გამეთია და ასეთის ღვთის ნიერ კაცის შეყრისათვის ღმერთს მადლობას ვსწირავდი. ერთი საათიც არ გასულა, მსახურმა შემოიტანა მშვენიერი ვახშამი და ისიც თან შემოჰყვა. მსახური დაითხოვა და კარები დაჰკეტა. კარების დაკეტვა, ცოტა არ იყოს, არ მეჭაშნიკა, მაგრამ არა მითქვამს-რა. დავსხედით ვახშმად. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ სამის დღის მშიერი თუ რა ხარბად მოვეძებოდი საჭმელს!.. იმის სიგემრიელე, ვგონებ, ჩემს დღეში არაფერი არ მეჭამოს! ჩემი მფარველი ღვინოს ზედი-ზედ სცლიდა და მეც ხშირად მაწვდიდა. ბოლოს სავსე ბოთლი აიღო და მადლეგრძელა. პირიდგან არც-კი მოუცილებია, ისე დასცალა და საკოცნელად გადმომწვდა. მე ეს მეუცხოვა და ხელი ვკარი.

— კარგია, ნუ ნაზობ, თუ ღმერთი გწამს! განა არ ვიცი, რა შვილიცა ბძანდები!!..

— ჰო, ბძანეთ, რა იცით? აღელვებით ვუპასუხე მე.

— ჯერ ერთი ეს მიბრძანეთ, ეს ვისია? ბავშვზე მიმითითა.

— ეს ბავშვი, ბავშ... თითქო ენა ჩამივარდა, ვეღარა ვუპასუხე-რა.

— საშა კარასოვისა? ჰო, თქვენ კატო მ—ვის ქალი არა ბძანდებით? როგორც ჰხედავთ, კარგად გიცნობთ. მაშ მეც მიცნობდეთ, მე გახლავარ იპოლიტ გრიაზნოვი. არ გაგონდებათ ჩემი გვარი? თქვენმა კურომ თქვენის მიზეზით მე დუელში დამჭრა, აბა ვნახოთ, თუ არ გავამართლო ჩემი მაშინდელი ხუმრობა! თქვენ ახლა ჩემს ხელში ხართ, დამნებდით! თქვენ ბილეთი არა გაქვსთ. მე შემიძლიან, თქვენ, როგორც უბილეთო მაწანწალა დედაკაცი, საპყრობილეში ჩაგაგდოთ. რამდენსამე ხანს იქ გამყოფებთ. მერე სხვა საშინელს ბილეთს მოგცემთ და იქიდან გამოგიშვებთ. იცით, ვის ვაძლევთ ამისთანა საშინელს საბუთს ვინაობისას?—გარყვნილს დედაკაცებს. მას შემდეგ თქვენ სამუდამოდ დაგეკეტებათ პატიოსანის ოჯახის კარები. ადრე თუ გვიან თქვენს სიცოცხლეს საროსკიპო სახლში დალევთ. სჯობს, დამნებდეთ!

მუქარით რომ არა გაუვიდა-რა, ძალდატანება მოინდომა, მაგრამ მე ყვირილი მოვრთე და ერთი ალიაქოთი ავტეხე. საზიზღარმა ყარაულებს დაუძახა და უბძანა საპყრობილეში ჩავეგდეთ. ჩამაგდეს ერთს მყრალს ნოტიო საპყრობილეში... ბავშვის სუსტმა აგებულებამ ვერ აიტანა საპყრობილის ნოტიო ჰავა და შავის პურით საზრდოება და მესამე დღეს კალთაში მომიკვდა. ის იყო ჩემი უკანასკნელი შემაერთებელი ძაფი ცხოვრებასთან დ ეს ძაფიც გაწყდა. რაღა დამრჩენოდა ამ ქვეყნად მისს დამმარხველს! რასაკვირველია, თავი უნდა

მაილოკს და სულ იმის დაცინვასა და ქილიკობაში იყო.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთს წეს-რიგს სიკეთე ვერ მოჰყვებოდა და აკი არც მოჰყვა. დანარჩენი შემდეგისათვის.

## რუსეთი

გაზეთი „Рус. Вѣд." სწერს, რომ რუსეთიდგან საზღვარ გარედ ხორბრეულობის გატანის აკრძალვის გამო ზღვის პირას მდებარე ქალაქების მცხოვრები მუშა ხალხი დიდს გაჭირვებაშია, რადგანაც სამუშაოს ველარა შოულობსო. შემდეგ გაზეთი დასძენს: „დასავლეთს ევროპაში არა მარტო სიმშილის დროს, არამედ უიმისოდაც მთავრობა მუდამ სხვა-და-სხვა ღონისძიებას ხმარობს და, რითიც-კი შეუძლიან, ჰშველის ხოლმე უსაქმობით გაჭირვებულს მუშა ხალხსა. ამ შემთხვევებში უმთავრესი და საფუძვლიანი საშუალება—საზოგადო შენობათა და სხვა-და-სხვა საზოგადო სამუშაოს დაწყებააო."

„ჩვენ-კი უსაქმოდ დატოვებულ ხალხისთვის ჯერ ჯერობით არავითარი ღონის-ძიება არსად არ აღმოგვიჩენია, მხოლოდ პეტერბურგისა და ზოგიერთა, წლევანდილის ჰინახულის მოუსვლელობით დაზარალებულს ქალაქში, ქალაქის საბჭოებს შეუსყიდნია პური, რომ გაჭირვების დროს იაფად მიჰყიდოს მუშა ხალხსა. ზოგიერთა ქალაქში-კი არც ეს უბრალო საქმეა გაკეთებული, მაშინ როდესაც უპურობის გარდა, კიდევ სხვა ბევრი რამ გაჭირვება დაადგება ამ ქალაქების უსაქმოდ დარჩენილს მუშა ხალხს, მაგალითად თავშესაფარი სახლისა და შეშის უქონლობა. ჯერ ეხლავე სამხრეთ რუსეთის გუბერნიებში ნახშირი ძლიერ დაძვირდა და თითქმის ერთი ორათ ფასი იმატაო".

— გაზეთი „Сар. Дн." სწერს: რუსეთის დამშეულს გუბერნიებში გაჭირვებამ იქამდის მიაღწია, რომ კერძო შეწირულებანი ხალხს ვერაფერს უშველის და ამიტომ საჭიროა, ისეთი კანონ-პროექტი, რომ ხორბლეულობაზედ ნიხრი იყოს დაწესებული და აიკრძალოს ძვირად გაყიდვაო. ჯერ ეხლავეო, ამბობს გაზეთი, ხორბლის ფასმა ერთი ორად აიწია და მაშასადამე, პურის გამყიდველები მანათზე მანათს იგებენ. მაშ რას იზარალებენ პურის ვაჭრები, რომ ხორბალის ახლანდელი ფასები ნიხრად დაწესდეს და შემდეგში იმაზე ძვირად გაყიდვა აიკრძალოსო. მაგრამ მარტო ნიხრის დაწესება საკმარისი არ არის. მთავრობამ ამ ნიხრის ფასათ უნდა შეისყიდოს ვაჭრებისაგან პური და გაანაწილოს დამშეულთა გუბერნიებში. თუ ვაჭრებს მთავრობისაგან დაწესებული ნიხრი ეცოტავებათ, მთავრობამ მაშინ ძალა უნდა იხმაროს და მაინც ამ ფასად გამოართვას პური. ჩვენის ფიქრითაო, ამბობს ეს გაზეთი, ეს ერთად ერთი საშუალებაა იმ გაჭირვებისა და უბედურების ასაცდენად, რომელიც წლეულს რუსეთს ეწვია. მართალია, ეს საშუალება ძალადობაა, მაგრამ, თუ-კი ომში ყველა საშუალება იხმარება, ეხლაც მთავრობას ნება აქვს ამ საშუალებას მიჰმართოს, რადგანაც „სიმშილი ომიანობაზედ უფრო დიდი უბედურებაა."

— პეტერბურგის ოლქის სასამართლოში ამ მოკლე ხანში შემდეგი საქმეა დანიშნული გასარჩევად: 1888 წელს ვენაში თავი მოიკლა სასტუმროში სტატსკი სოვეტნიკმა ი. ა. ივინსკიმ. ივინსკის თავისი ქონება და უძრავი მამულები ცოლისთვის უანდერძნია, იმ პირობით, რომ იმის სიკვდილის შემდეგ უძრავი მამულები საკუთრებად დარჩეს ივინსკის ნათესავს დავიდოვსა. 1890 წელს ივინსკის ცოლმაც თავი მოიკლა. მეორე ივინსკის ნათესავს და მემკვიდრეს ა. მ. ბაგრატიონ-მუხრანსკის საჩივარი შეუტანია სასამართლოში. მუხრანსკის რწმუნებული, ნაფიცი ვექილი ტანეევი ამტკიცებს, ივინსკიმ სულის ავადმყოფობის გამო მოიკლა თავი და ამიტომ იმის ანდერძი კანონიერად არ ჩაითვლებაო. დასამტკიცებლად ამისა ტანეევს ოლქის სასამართლოსთვის სხვა-და-სხვა პროფესორების მოწმობაც წარუდგენია.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება ოდესის საფოტოგრაფიო საზოგადოებისა. ამ საზოგადოებას საგნადა აქვს ფოტოგრაფიის გავრცელება და გაუმჯობესობა. ამ საზოგადოების წევრებს უფლება მიეცათ მთელს რუსეთში სურათები გადაიღონ.

— ლოდზიდგან სწერენ „ნოვოსტის": 9 ნოემბერს ღამის ათს საათზე თავის სახლში მიდენილა იქაური გიმნაზიის მასწავლებელი ბ. და გზაში სამი ავაზაკი დახვედრია. ერთმა მათგანმა ყურში ჩასჩურჩულა თურმე:

— არ გაგვიძალიანდე და არ დაიყვირო, თორემ აქვე გაგათავებთო.

— ჩვენ ვიცით, რომ ფული არა გაქვს და ამიტომ შენი ტანისამოსი და საათი მოგვეცი.

ბ-ს ხმა ამოუღებლივ მიუცია საათი, შემდეგ პალტოც გაუხდია და ავაზაკებისთვის ჩაუბარებია.

— დანარჩენი? დაუყვირნია ერთს ავაზაკს.

— რა დანარჩენი? გაკვირვებით უკითხავს ბ-ს.

— როგორ თუ რა, სერთუკი და სხვა ტანისამოსიც გაიხადე!

ავაზაკები აღარა ხუმრობდნენ თურმე და შეშინებულმა მასწავლებელმაც გაიხადა ტანისამოსი. ავაზაკებმა ტანისამოსი გამოართვეს და მოჰკურცხლეს. საბრალო მასწავლებელი, თეთრეულის ამარა დარჩენილი, ერთს ყავახანაში შევიდა და იქიდგან სახლში კაცი გაგზავნა ტანისამოსისთვის.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლონდონში ფრიად საყურადღებო არჩევანები უნდა მოხდეს ამ კვირია. მას აქეთ, რაც ინგლისში ახალი სასკოლო კანონი იქმნა შემოღებული შესახებ უსასყიდლოდ სწავლებისა, პირველად მხოლოდ ეხლა უნდა აირჩიონ სასკოლო საბჭო. 1870 წლის კანონმა ნება მისცა ყოველს საზოგადოებას უსასყიდლოდ სწავლების შემოღებისა და ამ კანონით ყველაზე უწინ ისარგებლა ლონდონმა: გამართა სასწავლებლები და ნება მისცა უსასყიდლოდ სწავლისა მოქალაქეთა ყველა ყმაწვილს 4—14 წლისას. ამ უკანასკნელს 12 წელიწადს ლონდონში სკოლებში მისაბარებელ ყმაწვილთა რიცხვმა 50,000-ით იმატა. ამის გამო საჭირო შეიქმნა მომეტებულ სკოლების გამართვა. სწორედ ეს საგანი უნდა განიხილოს მომავალმა კრებამ, მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა განიხილონ ისიც, თუ რა წესით აწარმოვონ საქალაქო სასწავლებლებში სწავლებაც. ამის თაობაზე საზოგადოებაში სხვა-და-სხვა ნაირი აზრი ისმის: ზოგნი ამბობენ, სკოლებს რომ მოვუმატებთ, მეტი სასწავლო საგნებიც უნდა შემოვიღოთ სკოლებშიო. ზოგნი-კი—მომეტებულად უფრო კლერიკალები—იმასა სცდილობენ, რომ სასწავლო საგნები, რაც შეიძლება, შეამცირონ და თითქმის მარტო წერა-კითხვა და ანგარიში-ღა დასტოვონ. მომავალმა არჩევანებმა უნდა გადასწყვიტოს ასე თუ ისე ეს საგანი და აი სწორედ ამიტომ არის ეს ხსენებული არჩევანები საყურადღებოც.

**ბრაზილია.** იქით კვირია ბრაზილიიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, რომ დიქტატორს ფონსეკას პროკლამაცია გამოუცია, რომლითაც აცხადებს, რომ არჩევანები კონგრესის შესადგენად მომავალის წლის 29 თებერვალს იქნებაო, ხოლო თვით კონგრესის კრება იმავე წლის 7 მაისსაო. იგივე პროკლამაცია იუწყება, რომ კონსტიტუციას გადასინჯვა, და შესწორება საჭიროაო. პროკლამაციის აზრით, საჭიროა განეცალკევოს საადმინისტრაციო და საკანონმდებლო მმართველობა სასამართლოს, და ადმინისტრაციას მეტი უფლება მიენიჭოს; შემცირდეს უფლებანი კონგრესისა, შემცირდეს აგრეთვე რიცხვი დეპუტატთა და უმხრუნველ ყოფილ იქმნას Veto პრეზიდენტისა.

ამას შემდეგ, გასულს ოშაბათს კვლავ ამბავი მოვიდა ბრაზილიიდგან, ზღვათა ლაშქრის აფიცრები აჯანყდნენ ფონსეკის მმართველობის წინააღმდეგ, ფონსეკამაც უარჰყო თავისი დიქტატრობა, რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოცხადებულ იქმნა გენერალი პეიხოტო და ომის დროის წესებიც მოისპოვო. ამას ზედ მოჰყვა ამბავი იმის შესახებაც, რომ მოკლე ხანში პარლამენტი უნდა მოიწვიონო. აქედგან აშკარადა სჩანს, რომ ბრაზილიაში ამ უკანასკნელს დროს უბრალო სამხედრო რევოლიუცია-კი არ მომხდარა, არამედ ფონსეკას სდომებია უფლებათა ხელში ჩაგდება, და ამ გარემოებას გამოუწვევია ამბოხება.

**ჩინეთი.** არეულობა და ამბოხება ჩინეთში თან-და-თან უფრო გაძლიერდა. საგანი ამ არეულობისა და

---

მომეკლა. ე-ეხ, მწარეა, მწარე ეს ცხოვრება, მაგრამ სიკვდილი კიდევ უმწარესი ყოფილა!...

სიტყვა-სიტყვით შეასრულა გრიაზნოვმა თავისი მუქარა. ერთს კვირის შემდეგ მომცეს ის საშინელი ბილეთი და გიმომიშვეს საპყრობილედგან. დავიწყე ისევ ძველებურად ქუჩებში თრევა. მივედი ერთს ადგილობრივ გაზეთის რედაქციაში და მსახურს ვთხოვე, ჩემთვის ეცნობებინა, თუ ვინმე გუვერნანტის საშოვრად განცხადებას შემოიტანდა. დიდს ხანს არ დამჭირებია ლოდინი. მსახურმა ერთ შუათანა ტანის კაცზე მანიშნა. მე იმას ყოველივე ჩემი ამბავი დაუფარავად ვუამბე და ვსთხოვე, დრიაებით მაინც ავეყვანე გამოსაცდელად, მუქთად. მადლობა ღმერთს, იმას აღარ მიუქცევია ჩემის ბილეთისათვის ყურადღება და წამიყვანა თავისს სახლში.

ამდენ უბედურებისა და ვაივაგლახის გამოვლის შემდეგ იმათსა სულმა და ხორცმა მოისვენა. ჩემი ერთად ერთი ფიქრი ის იყო, რომ კეთილის მასპინძლის ნდობა გამემართლებინა და სირცხვილი არ მეჭამა. რაც შემეძლო, ვცდილობდი და ისინიც აფასებდნენ ჩემს შრომას. ცოტა ხანს შემდეგ ჯამაგირიც დამინიშნეს, თვეში ოცი მანეთი. მალე ისე შევეთვისე იმათ, თითქო ჩემს ოჯახში ვარ მეთქი, მაგრამ რამდენსამე ხანს შემდეგ ცოლმა ქმარზე იჭვიანობა დაიწყო. ო—ო, ღმერთმა დაიფაროს ყოველივე ქმარი ცოლის იჭვიანობისაგან!!. დაუწყო, ბატონო, კაპასობა: „შენ რად გაუცინე, რად დაელაპარაკე იმას, ვიღაცა უნამუსო დედაკაცი რად შემომიგდე ოჯახში"-ო და ვინ იცის, კიდევ რა. მეც ხომ საშველს აღარ მაძლევდა, ატირდებოდა თუ არა ბავშვი... უტირლად, გეთაყვა, აბა ვინ გამოზრდილა?!—მაშინვე საყვედურებით მომდგებოდა. რასაც-კი ბავშვები დააშავებდნენ, ყველაფერს მე მაბრალებდა: „რისლა გუვერნანტი ხარ, თუ ბავშვებს არ მიჰხედავო". რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთის სიტყვით, გამიმწარა სიცოცხლე. ჩემს საწყენს იმდენად არ დავდევდი, მაგრამ მე ის მაწუხებდა, რო ჩემის მიზეზით თავისს საბრალო ქმარს მოსვენებას არ აძლევდა. ცოლქმარს შუა რომ უკმაყოფილება მომესპო, გადავწყვიტე მათთვის თავი დამენებებია. მაგრამ სად უნდა წავსულიყავ? ბევრი ვიფიქრე, ბევრი თავი ვიტეხე, მაგრამ ვერა მოვიფიქრე-რა. ბოლოს მომაგონდა დირექტორის წერილი მექნარეების გუნდის ლოტბართან და გადავწყვიტე მომღერლად შესვლა. კავკასია მე ციმბირის მგზავსი ქვეყანა მეგონა, სადღაც გადაკარგულში, და ძალიან მიჭირდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ რა უნდა მექნა, როცა არჩევანი ჩემ ხელთ არ იყო! შევკარი ჩემი ბარგი-ბარხანა, მასპინძლებს მადლობა გადვუხადე და აქეთკენ გამოვემგზავრე.

ახლა, როგორც მხედავ, აქა ვარ. სასმელ-საჭმელს გარდა, თთვეში ოც-ზე თუთხმეტს მანეთს მაძლევენ. ღმერთმა უშველოს ჩვენს უფროსს, ჯამაგირსაც დროზე გვირიგებს და სასმელ-საჭმელიც რიგიანი გვაქვს. სიმღერებს გარდა, ჩვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მეტი მოტრფიალენი გავიჩინოთ და ბუფეტში ფული ბლომად ვახარჯვინოთ. მართალია, უზნეური საქციელია, მაგრამ რას იზამ, როცა მეტი საძრავი აღარა გაქვს! ე-ეხ! ძნელია სიმშილი!.. ჯერ გამოსცადე მთელს კვირაობით უჭმელობა და მერე მიძრახე ასეთი უზნეური ქცევა. განა მე-კი არ ვიტანჯები ჩემის ასეთის ქცევით? გარწმუნებ, საშინლად ვიტანჯები! მაგრამ მაინც ვიმღერი, ვიცინი, ვარშიყობ... არავის ეგონება, თუ ჩემისთანა უდარდელი კიდევ ვინმეა ქვეყანაზე. აბა, ერთი ჩემს გულშიაც ჩაიხედონ!..

„რა იციან, რომ ეს გული მკვდარია.

რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა!".

ესეც ჩემი ისტორია. მართალია, თავი შეგაწყინე, მაგრამ არ მინდოდა სიმართლე საფლავში ჩამყოლოდა. კარგია, თქვენ მაინც იცოდეთ ჩემი ამბავი და ათას გამკიცხავში ერთი შემბრალებელი მეყოლოთ.

უჰ, ხუთი საათი შესრულდა! უკაცრავად, რეპეტიციაზე მიგვიანდება. გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და თუ აქ დარჩეთ, ხან და ხან შემოიხედოთ.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და კატო და იმისი ამბავი სრულიად გადამავიწყდა. 188... იანვარში საქმების გამო ტფილისში მომიხდა ჩასვლა. მგზავრობისაგან ისე დაღალული ვიყავი, რომ, ჩამოვხდი თუ არა სასტუმროში, მაშინვე ლოგინს მივაშურე. ის-ის იყო მივლულე თვალები, რომ უცებ ახლო ოთახიდგან დამბაჩის ხმა მომესმა, გამოვვარდი ოთახიდგან ამბავის შესატყობად. სხვა ოთახებიდანაც გამოცვივდნენ საბან წამოსხმული სტუმრები, მაგრამ კარები დაკეტილი დაგვიხვდა. სასტუმროს ფარეშმაც მოირბინა და როგორც იქნა, კარები გავაღეთ. ჩვენს თვალებს საშინელი სურათი წარმოუდგა: იატაკზე სისხლის მორევში სცურავდა პირ აღმა ახალგაზდა ქალი. გვერდით დამბაჩა და სისხლიანი დანა ეღო. ჩვენს შესვლაზე საბრალომ თვალები გაახილა.

— პავლე?!...

— კატო?! არიქა, ექიმი საჩქაროდ!

— ნუ სწუხდებით, გვიანაა. მშვი...

საბრალოს „მშვიდობითო" უნდა ეთქვა, მაგრამ ველარ დაასრულა, ერთი საშინლად გადაატრიალა თვალები და... სული ამოხდა.

პოლიციაც მოვიდა და ბოქაულმა ოქმი შეაყენა. საცოდავის სტოლზე შემდეგის შინაარსის ქაღალდი ეღო:

კატო მ—ვა.

„ბათუმში მექნარეების გუნდში მომღერლად ვიყავი. ქრისტეშობისთვის ერთს ღამეს გავცივდი და ხმა სრულიად დამეკარგა. უხმო მომღერლად რაღა გამოსაყენებელი ვიყავი და იქიდგან დამითხოვეს. მინდოდა პატიოსანი შრომით ლუკმა პურის მოპოება, მაგრამ ჩემის ვინაობის საშინელ საბუთის წყალობით ყოველგან გზა შეკრული მქონდა. ღმერთმა ჰკითხოს და გადაახდევინოს იმას, ვისის მიზეზითაც ეს საშინელი ჩირქი მომეცხო! ბათუმში რომ ვერა გავაწყე-რა, ვიფიქრე: ტფილისში წავალ, დიდი ქალაქია და იმოდენა ხალხში ნუ თუ ერთს ისეთს გულ-შემატკივარს ადამიანს ვერ შევხვდები, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს ჩემს ბილეთს და ამ განსაცდელისაგან დამიხსნისთქო. ვინ იცის, რამდენს არ ვსთხოვე, მაგრამ არც აქ გამიღიმა ბედმა, ყველამ უარით გამომისტუმრა. ბოლოს ერთს ბატონთან მივედი. ბილეთი რომ ჰნახა, ამხედდამხედა და ასე მითხრა: „სილამაზე თქვენ არ გაკლიათ და იქ უთუოდ მიგიღებენო". საროსკიპო სახლისკენ გაიშვირა თითი. მართალი-კი მითხრა, იმის მეტი არღარა დამრჩენოდა-რა, მაგრამ ასეთს შერცხვენას და დამდაბლებას მე ისევ სიკვდილი ვამჯობინე".

იასონ ნიკოლაიშვილი

1891 წელს, 8 ნოემბერს.

დ. ძველი-სენაკი.

ამბოხებისა ევროპიელების, ქრისტეანების დევნაა. თუმცა, მოთხოვნილებისამებრ ევროპის სახელმწიფოთა, ჩინეთის მთავრობამ სასტიკი ბრძანებანი გასცა, რათა ევროპიელნი ჩინეთში უზრუნველნი იყვნენ, მაგრამ ამასთანავე პირველ და თავ მიზეზად უწესოებისა ჩინეთი იმასა ხადის, რომ საფრანგეთის მისიონერები და იეზუიტები ძლიერა სცდილობენ ქრისტეანობისა და ევროპის კულტურის გავრცელებასა და დანერგვას ჩინეთში. ერთი კორესპონდენტი იწერება ტიანძინიდგან, მთავრობა ვერას გახდა თავისის სასტიკის ბრძანებებით, შეიარაღებული რაზმები მაინც დათარეშობენ და სრავენ ქრისტეანეთა სოფლებსაო. ტაკუსანტში სულ ერთიან ამოსწყვიტეს თურმე მისიონერები და მონათლული ჩინელები.

პეტერბურგის ბირჟა, 22 ნოემი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 20 | $8^1/_4$ | — ,, |
| ჯამოყნის კუპონები . | $164^1/_2$ | $165^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 240 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | $218^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 200 | — ,, | 202 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.

რადგან „Правительственный Вѣстникъ-ის რედაქცია იწერება, რომ სამჯერ დაბეჭდვა განცხადებისა იმ მამულების გამო, რომელიც საჯაროდ გასასყიდად არის დანიშნული გარდასახადის შემოუტანლობის გამო, თავისს დროზე ვერ მოესწრობაო, ამიტომ გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა აცხადებს: ამ წლის 13 და 14 დეკემბრისათვის დანიშნული ვაჭრობა და გამოცხადებული გაზეთს „ივერიაში“ (№№ 240,141 და 242) შესახებ მამულებისა: სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასულისა, გასაბოვისა, სოლომონ იაკობის ძისა, თამამშოვისა, არტემ ალექსის ძისა, ფორაქოვისა, ნატალია იოსების ასულისა, წურინოვისა, სოლომონ იოსების-ძისა, იედიგაროვისა, სეიდ ხანუმასი, შაჰკედანოვისა, ალაჯან სარქისის ძისა, ლალაევებისა: ჯუმშუტ ნიკიას ძისა და რომან ივანეს ძისა, მჭედლოვისა, პელაგია იოსების ძისა, შაგიდანოვისა,, მოსე დანიელის ძისა, ბეჟანოვისა, მიხეილ ბეჟანის ძისა, ყარაევისა, გრიგოლ იაკობის ძისა, არტაზოვისა, ლაზარე ვასილის ძისა, ზაკრიევებისა, იაკობ, ლიდია, დავით, ივანე და ანნა ქრისტეფორეს ძეთა, ოხიკოვებისა, კონსტანტინე და გიორგი სოლომონის ძეთა, ხაკაშიძისა, ბარბარე სოლომონის ასულისა, ჩოლოყაშვილისა, ეკატირინე სოლომონის ასულისა, აქიმოვებისა, ნიკოლოოზ და ვასილ ზაქარიას ძეთა, მირზოევისა, გაბრიელ მინასას ძისა, თაიროვისა, ალექსანდრე ლაზარეს ძისა, ბაგრატიონ-მუხრანსკისა, ივანე კონსტანტინეს ძისა, ჯავახაშვილებისა, გრიგორ და ილია ალექსანდრეს ძეთა, ბალტარაცკისა, ალექსანდრე ეგნატეს ძისა და ორბელიანისა, ვახტანგ ვახტანგის ძისა. ყოველ ამ მამულების შესახებ პირველი ვაჭრობა ქალაქის მამულებისა შესახებ გადაიდება 8 იანვრისთვის, სოფლის მამულების შესახებ-კი 9 იანვრისთვის, ხოლო მეორე ვაჭრობა—23 იანვრისთვის 1892 წლისა.

(1—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში ვაჭრობა მოხდება სამის წლის ვადით იჯარით გასაცემ ბორნისა, რომელიც დადის მტკვარზე მუხრანიანთ ქუჩის პირიდგან რიყემდე. პირობათა შესატყობად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის კანცელარიას დილის 10 საათიდგან 12-მდე.

(6—4)

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში მოხდება ვაჭრობა სამის წლის ვადით იჯარით გასაცემად 2147 დესეტინისა და 2040 ოთხ-კუთხის საჟენის საქალაქო მიწისა ავლაბარში.

(6—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჴყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ-წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |

სომეხთა სასულიერო ნერსესიან სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში 4 დეკემბერს 1891 წლისას, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია ვაჭრობა (განსამეორებლად) იჯარით გაცემისათვის 36 დუქნისა სარდაფებით და საყინულეთი, რომელიც მოთავსებულია სემინარიის ძირის სართულში. პირობის შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ 12-მდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(3—1)

სომეხთა სასულიერო ნერსესიან სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში 4 დეკემბერს 1891 წლისას, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია განმეორებით ვაჭრობა იჯარით გასაცემად უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნის სემინარიას და რომელიც შემოსწირა მას განსვენებულმა არუთინ ოქოევმა. ეს მამული იმყოფება რიყეზე, ნომრები 46 და 49 ქვეშ. პირობის შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ 12-მდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(3—1)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. | 10 მ.—კ. | 6 | თვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-[illegible] მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და [illegible]ას შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პი[illegible] [illegible]ოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე,

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.



გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

ძმური სიტყვა

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა მხანაგობის წიგნის მაღაზიაში;

ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;

გორში არსენ კალანდაძესთან;

თელავში ილია ზარაფოვთან;

სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.

ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—8)